დამტკიცებულია

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით

ოქმი N1. 22.08.2024 წელი

სკოლის პედაგოგიური საბჭოს

თავმჯდომარე: ----------/ლ.ხვედელიძე/

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მართვის წესი

ნდ №2-020101-45

ბათუმი
2024

პრეამბულა

1. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წესის დამტკიცების აქტით;
2. წინამდებარე დოკუმენტს და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სკოლის იურისტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, პედაგოგიური საბჭო და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებები მუშავდება წესის გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენ-ტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა წინამდებარე დოკუმენტი;
4. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. წინამდებარე დოკუმენტის ორიგინალი (ელ. ვერსიის სახით) ინახება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტი შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის მარეგულირებელი (შიდა ნორმატიული) დოკუმენტია;
2. წინამდებარე დოკუმენტი ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ დოკუმენტის რეგულირების სფეროს, და ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტში არსებული დებულებები.

ნორმატიული საფუძვლები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს შრომის კოდექსი;
3. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;
4. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
5. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
6. პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი დადგენილებები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სტანდარტები;
7. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
8. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
9. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
10. ნდ №2-010102– სკოლის საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
11. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

ძირითადი განმარტებები და შემოკლებები

შიდა ნორმატიული დოკუმენტი - სკოლის საქმიანობის მომწესრილებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, სააერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს/აზუსტებს სკოლაში დასაქმებული პირის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მის მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;

პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ხს - ხარისხის სისტემა;

სკოლა - შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მართვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს მიეკუთვნება: პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, პრაქტიკის ინსტრუქტორები/მენტორი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს უნდა გააჩნდეთ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
3. სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი განათლებით ან მუშაობის გამოცდილებით, ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენცია დასტურდება ფორმალურ ან/და არაფორმალურ გარემოში სწავლების არსებული გამოცდილებით ან სკოლის მიერ შესაბამისი მიმართულებით ჩატარებული ტრენინგით, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით (სერტიფიკატი ან დასწრების ფურცელი ან სხვა);
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კომპეტენცია პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების მიმართულებით შესაძლოა დასტურდებოდეს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით: დიპლომი, სერტიფიკატი, ცნობა მუშაობის გამოცდილების შესახებ, წინმსწრები (ფორმალური, არაფორმალური, მ.შ. უცხოეთში მიღებული) განათლების აღიარების დოკუმენტი და სხვა. მტკიცებულებები არ უნდა იწვევდეს ეჭვს და ცალსახად ადასტურებდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირის კვალიფიციურობას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კომპონენტის განსახორციელებლად;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირების კომპეტენცია პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების მიმართულებით ფასდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან მიმართებით და არა მხოლოდ დარგის ან სფეროსთან მიმართებით.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებელი

2.1 პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა გააჩნდეს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
3. თუ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით ან/და საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილია დამატებითი მოთხოვნები, პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნებსაც.

2.2 პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანამდებობები, სამსახურში მიღებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელს უფორმდება შრომითი ხელშეკრულება, პირადი განცხადებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ვიზირების საფუძველზე, რითაც დასტურდება პირის შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან. შესაძლოა ამ თანამდებობის დასაკავებლად დირექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებით;
2. თუ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით ან/და საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილია დამატებითი მოთხოვნები, პროფესიული განათლების მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნებსაც;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან პროგრამის იმ კომპონენტის გაუქმება, რომელსაც უძღვება პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეიძლება გახდეს მასთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველი.

2.3 პროფესიული განათლების მასწავლებელთა ფუნქციები

პროფესიული განათლების მასწავლებელთა ფუნქციებია:
1. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი პროგრამის კომპონენტების/მოდულების სწავლება;
2. სკოლის სასწავლო პროცესისა და შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა საკონტაქტო საათებზე დასწრების აღრიცხვა;
3. სკოლის სასწავლო პროცესისა და შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების განხორციელება და მათი მტკიცებულებების ორგანიზება;
4. სკოლის მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების, სასწავლო და შემოქმედებით ღონისძიებებში, ასევე სკოლის განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა;
5. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობის გზით;
6. ცალკეული დავალებების შესრულება, რაც არ მოითხოვს შემსრულებლის მიერ მნიშვნელოვან დროით და მატერიალურ დანახარჯებს და დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან.

მუხლი 3. პრაქტიკის ინსტრუქტორი/მენტორი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას, პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას ახორციელებს პრაქტიკის ინსტრუქტორი/მენტორი.

3.1. პრაქტიკის ინსტრუქტორის/მენტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონეს შესაბამისი უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან სწავლების სფეროში მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება. სკოლა უფლებამოსილია დაზუსტოს პრაქტიკის ინსტრუქტორის/მენტორის საკვალიფიკაციო
მოთხოვნები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ხელშეწყობა სწავლის შედეგების სრულფასოვანი მიღწევისთვის;
2. თუ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით ან და საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილია დამატებითი მოთხოვნები, პრაქტიკის ინსტრუქტორი/მენტორი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნებსაც;
3. პრაქტიკის ინსტრუქტორს/მენტორს უნდა გააჩნდეს პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

3.2 პრაქტიკის ინსტრუქტორის/მენტორის ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოოპერაციული მიდგომით განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია სკოლას წარუდგინოს პრაქტიკის ინსტრუქტორის პირადი საქმე, რითაც დასტურდება მისი შესაბამისობა პრაქტიკის ინსტრუქტორისადმი/მენტორისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან.
2. პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია სკოლას გონივრულ ვადაში აცნობოს პრაქტიკის ინსტრუქტორის/მენტორის ცვლილების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.3 პრაქტიკის ინსტრუქტორის/მენტორის ფუნქციები

1. პრაქტიკის ინსტრუქტორი/მენტორი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისათვის დავალებების მიცემას და მის ჩართვას რეალურ სამუშაო გარემოში;
2. პრაქტიკის ინსტრუქტორი/მენტორი ვალდებულია კვირაში ერთხელ შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მიერ ჩანაწერების ჟურნალის/პრაქტიკის დღიურის სრულყოფილად წარმოების პროცესი და მასში გაკეთებული ჩანაწერების ნამდვილობა დაადასტუროს ხელმოწერით;
3. პრაქტიკის ინსტრუქტორი/მენტორი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალში გააკეთოს აღნიშვნები პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე და დაადასტუროს ის ხელმოწერით;
4. შეასრულოს სხვა ფუნქციები, რაც შეთანხმეულია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

4.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის სწავლების სფეროში, უმაღლესი ან პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. თუ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით ან და საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილია დამატებითი მოთხოვნები, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნებსაც.

4.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამსახურში მიღების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ინიშნება დირექტორის ბრძანებით, პერსონალის თანხმობისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე და უფორმდება შრომითი ხელშეკრულება;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება იმ პერსონალს, რომელსაც აქვს დარგში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და არის მოქმედი სპეციალისტი.

4.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები

1. თითოეულ პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ძირითადად, ზრუნავს პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

ა) ახორციელებს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საერთო ზედამხედველობას;
ბ) კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის შედგენას;
გ) მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში;
დ) მონაწილეობს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესში;
ე) მონაწილეობს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების აპელაციის პროცესში;
ვ) კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესს, რისთვისაც აფასებს პროგრამას დარგის სპეციფიკის, განხორციელების გაუმჯობესების, საგანმანათლებლო, ადამიანური და მატერიალური რესურსის საკმარისობის, პროგრამის განვითარების მიზნით მასში ცვლილებების განხორციელების ან სხვა მიმართულებით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით;
ზ) მონაწილეობს ცალკეული მოდულებისათვის სასწავლო დატვირთვის მოცულობის განსაზღვრის პროცესში;
თ) მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის შედგენაში;
ი) ახორციელებს კალენდარული გეგმების მომზადების ორგანიზებას;
კ) მონაწილეობს პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში;
ლ) თანამშრომლობს პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ჯგუფთან;
მ) მონაწილეობს განათლების აღიარების პროცესში;
ნ) მონაწილეობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის გაანგარიშების პროცესში;
ო) მონაწილეობს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვის/შესრულების პროცესში;
პ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და გარანტიების დაცვას;
ჟ) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას
რ) სკოლის ფუნქციებისა და მიზნებიდან გამომდინარე, თანამშრომლობს სკოლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;
ს) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს და ასრულებს ხელმძღვანელის სხვა დავალებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
ტ) ასრულებს სხვა ფუნქციებს სამუშაოს აღწერილობის შესაბამისად;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია იმავდროულად იყოს ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და გააჩნდეს დადასტურებული კომპეტენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სამსახურში მიღების პროცედურა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი განცხადებით მიმართავს სკოლის დირექტორს და წარადგენს პირად დოკუმენტაციას;
2. პერსონალის დოკუმენტაციას იხილავს სკოლის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და ვიზირებით ადასტურებს პირის კვალიფიკაციის შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან;
3. პერსონალის სამსახურში მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას;

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტებია:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვ.);

ბ) ანკეტა/CV;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის (ორიგინალი ან ასლი);

ე) სხვა დოკუმენტი, რაც ადასტურებს პირის კვალიფიციურობას მოთხოვნილი პოზიციის დასაკავებლად;

ვ) ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“;

ზ) თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სტატუსის მქონე კანდიდატმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

5. სკოლის საქმისწარმოების სპეციალისტი ახორციელებს პერსონალის მიერ წარმოდგენილი ორიგინალი დოკუმენტების ასლების დამზადებას და მათ ორიგინალთან შესაბამისობის დამოწმებას, სკოლის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.

6. პერსონალის პირადი საქმის წარმოების წესი დადგენილია სკოლის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ორიენტაცია, ადაპტაცია და მხარდაჭერა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელები პერსონალს ხელშეკრულების გაფორმებამდე:

ა. განემარტება ფუქციები, უფლება-მოვალეობები და სხვა სახელშეკრულებო პირობები;

ბ. გაეცნობა სკოლის მისია, სტრატეგიული გეგმა, პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, შინაგანაწესი, მისი შეფასების პროცედურები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

გ. სხვა ინფორმაცია, რაც აუცილებელია მიეწოდოს დასაქმების მსურველ პირს, მისი სამსახურში აყვანამდე;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ:

ა. გადაეცემა მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი;

ბ. გაეცნობა სასწავლო და შიდა პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები და ეცნობება, რომ სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელებისას ინფორმაცია განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე და პერსონალი ვალდებულია გაეცნოს;

გ. გადაეცემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისი მოდული და გაეცნობა მისი განხორციელების მიდგომები;

დ. პერსონალის სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ორგანიზებით ტარდება ტრენინგი;

ე. სხვა ინფორმაცია, რაც აუცილებელია მიეწოდოს პერსონალს, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისათვის.

3. სკოლის სასწავლო პროცესისი მართვის სამსახურის ხელმძღვანელისა და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ახალი თანამშრომელი წარედგინება სკოლის სხვა თანამშრომლებს;

4. სასწავლო პროცესში ახალი მასწავლებლის ინტეგრაციის პროცესს ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

5. სასწავლო პროცესში ახალი მასწავლებლის ინტეგრაციის პროცესი მოიცავს:

ა) პროფესიული განათლების მასწავლებელთან ინდივიდუალურ კონსულტაციას, შეუზღუდავად;

ბ) მეცადინეობაზე დასწრებას და გაუმჯობესების რეკომენდაციების მიცემას;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შექმნილი დოკუმენტებისა და წარმოებუსლი პორტფოლიობის რიგგარეშე მონიტორინგს და გაუმჯობესების რეკომენდაციების მიცემას;

დ) დარგომბრივ მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტენსიურ სამუშაო შეხვედრებსა და კონსულტაციებს. კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარებას;

ე) სხვა სახის აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს ახალი მასწავლებლის ინტეგრაციას სამუშაო პროცესში.

მუხლი 8. პერსონალის შესახებ ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში

პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, პერსონალის შესახებ მონაცემები აისახება საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 9. პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეჩერების, შეწყვეტის და შრომითი ურთიერთობის პირობები

პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეჩერების, შეწყვეტის და შრომითი ურთიერთობის პირობები რეგულირდება პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და სკოლის შინაგანაწესით.

მუხლი 10. პერსონალთან შრომითი ურთიერთობის დამატებითი პირობები

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება სკოლის პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სტანდარტები (სქემა) და მისი გაანგარიშების წესით;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება პერსონალთან გაფორმებული თანამდებობრივი ინსტრუქციით;
3. პერსონალთან შრომითი ურთიერთობის დამატებითი პირობები, რაც არ არის დარეგულირებული სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით, რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით - საქართველოს შრომის კოდექსით.

მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და განვითარება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალს უნდა ჰქონდეს დარგობრივი, სწავლების და შეფასების კომპეტენცია;
2. სწავლების მიმართულებით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი პერიოდულად უნდა ეცნობოდეს და საკუთარ საქმიანობაში ნერგავდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
3. სწავლების მიმართულებით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კომპენტენციის განვითარების მიზნით, სკოლა ახორციელებს პერსონალის საჭიროების კვლევას და მათი განვითარებისათვის იყენებს შემდეგ მექანიზმებს: ტრენინგები, მასტერკლასები, მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა, პარტნიორ დაწესებულებებთან ერთად სამუშაო შეხვედრების ან კონფერენციებს სწავლება-შეფასების მიდგომებში და სხვა;
4. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველსაყოფად, სკოლა შესაძლებლობას აძლევს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალს გაეცნონ დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს, რისთვისაც იწვევს დარგის მოქმედ ექსპერტებს/სპეციალისტებს ან საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მათ პერიოდულ ვიზიტებს პარტნიორ საწარმოებში. აღნიშნულის აუცილებლობა არ არსებობს, თუ პროფესიული განათლების მასწავლებელი პარალელურად დარგის მოქმედი სპეციალისტია.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტს და ცვლილებებს დოკუმენტში ამტკიცებს სკოლის დირექტორი;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი